**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**რიგგარეშე სხდომის ოქმი №14**

ქ.წალენჯიხა 2020 წლის 04 სექტემბერი

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დარეჯან დადიანი**

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 21 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია,დალი კვარაცხელია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ლევან შელია,დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ავთანდილ გაბელია, დათა აკობია.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: ცოტნე მესხია, ვალერიანე კვარაცხელია, კახაბერ ჯოლოხავა, ბაკურ სონგულია,ნონა გუჩუა, ელგუჯა მესხია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

[redacted]ქედან საკრებულოს სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: ვალერიანე კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, გიორგი აბულაძე.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ ISFED-ის საკონტაქტო პირი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დალი აბულაძე, ასევე საკრებულოს აპარატის და მერიის თანამშრომლები.

**სხდომა დაიწყო:** 12:00 სთ.

**სხდომა დასრულდა:** 12: 40 სთ.

კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით სხდომა ჩატარდა დისტანციურად , ყველა სათანადო ნორმების დაცვით.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

## დღის წესრიგი:

1. **„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 23 აგვსიტოს N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

   მომხსენებელი: **ჯემალ ბელქანია,** მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

2. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩასატარებლად შენობა-ნაგებობების გამოყოფის თაობაზე**

მომხსენებელი: **ჯემალ ბელქანია**, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

**მოისმინეს : 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 23 აგვსიტოს N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ავთანდილ გაბელიამ პროტესტი გამოხატა ქ.ჯვარის N26 საარჩევნო უბნის ოჭანეს ბაღში გადატანაზე, მან აღნიშნა, რომ უბანი სადაც დაახლოებით 1250 ამომრჩეველია და მდებარეობდა ქ. ჯვარის ცენტში გადაგავთ გარეუბანში, რათა ამომრჩეველს გაუჭირდეს მისვლა საარჩევნო უბანზე.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 - ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N16 ).

კენჭისყრის შემდეგ საკრებულოს სხდომათა დარბაზი დატოვა საკრებულოს წევრმა ავთანდილ გაბელიამ.

**მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩასატარებლად შენობა-ნაგებობების გამოყოფის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N29 ).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

**სხდომის თავმჯდომარე** **დარეჯან დადიანი**